პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

21 სექტემბერი

ხუთშაბათი,

1961 წ.

№ 147 (1783)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

## ვ. ბრუმელი მიუწვდომელი იყო

ლონდონში გაიმართა ინგლისისა და რსფსრ-ს მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. თუ ადრე, როცა ინგლისელებს მატჩი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ისინი სასტიკ დამარცხებას განიცდიდნენ, ამჯერად ერთგვარად თავისუფლად იგრძნეს თავი. მართალია, მატჩი ახლაც წააგეს მაგრამ არა ისეთი გამანადგურებელი ანგარიშით.

პირად შეხვედრებში აღსანიშნავია რამდენიმე შედეგი. ვაჟთა შორის 100 მ რბენაში მასპინძლებს პირველი გამარჯვება მოუტანა ე. ჯონსმა, რომელმაც აჩვენა 10,5 წამი და 0,1 წამით აჯობა ა. პროხოროვსკისა და ე. პოლიტიკოს (ორივე რსფსრ), ბირთვის კვრაში ინგლისელებს დარჩათ გამარჯვება. ა. როუს შედეგია 19 მ 11 სმ. ვ. ლიპნისმა აჩვენა 18 მ 18 სმ და მეორე იყო.

საბჭოთა სპორტსმენებიდან კარგი შედეგები ჰქონდათ: ვ. რუდენკოვს (უროს ტყორცნაში — 67 მ 41 სმ), ა. მიხაილოვს (110 მ თარჯრბენში — 14,1 წ.) სიმაღლეზე ხტომაში მიუწვდომელი იყო მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. ბრუმელი — 221 სმ.

## თასი მოიპოვეს საბჭოთა რკინიგზელებმა

მინსკში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა რკინიგზელ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. პირველ ადგილს აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ უნგრეთის, გდრ-ს, ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც მოიპოვეს გარდამავალი თასი.





ახლახან ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში.

**სურათებზე:** (მარცხნივ) — საქართველოს 1961 წლის ჩემპიონები შერეულ წყვილში თ. ლომთაძე და ს. კონგრო. (მარჯვნივ)—წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებული მ. ვოლჩენკო და ვ. გაფრინდაშვილი.

ფოტო ი. ეგნატაშვილისა.

## კონგრესს საჭიროდ მიაჩნია

1911 წელს ქ. რეგბის მაყურებლებს პირველად წარუდგინეს არაჩვეულებრივი სანახაობა, რომელიც ძალზე წააგავდა ფეხბურთს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ გუნდში 15 სპორტსმენი თამაშობდა და ფეხის გარდა ძალზე ხშირად იყენებდნენ ხელსაც. ამასთან თამაში უფრო უხეშ ხასიათს ატარებდა, შემდეგ ამ თამაშმა თანდათან ჰპოვა გავრცელება და მისი სამშობლოს პატივსაცემად რეგბი ეწოდა. ახლა რეგბს თამაშობენ ევროპისა და ამერიკის ბევრ სახელმწიფოში.

ამას წინათ პრაღაში რეგბის არსებობის 50 წლისთავის ზეიმზე შეიკრიბა რეგბის საერთაშორისო ფედერაციის მე-19 კონგრესი, რომელმაც განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები და მიიღო გადაწყვეტილება წინადადებით, შევიდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე, რათა რეგბი შეტანილ იქნას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

## საიპოდრომო მოტორბოლა

შვეციის ქალაქ მალმეში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება საიპოდრომო მოტორბოლაში. პირველი ადგილი და მასთან მსოფლიოს ჩემპიონობა წილად ხვდა, გასული წლის ჩემპიონატში გამარჯვებულს, შვედ უ. ფუნდინს.

საბჭოთა სპორტსმენი ი. პლეხანოვი კარგად გამოვიდა წინასწარ რბოლაში. მაგრამ მან ფინალში სუსტი წინააღმდეგობა გაუწია მოწინააღმდეგეებს და მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა.

## კონკურსი „მშვიდობისათვის“



დღეისათვის საკონკურსოდ შემოსულია 70 ეტიუდი

ყოველდღიურად სარედაქციო ფოსტაში — ჩვენი გაზეთის მიერ გამოცხადებულ საჭადრაკო ეტიუდების საერთაშორისო კონკურსის სახელზე — მოდის მრავალი წერილი სხვადასხვა ქვეყნიდან. ეტიუდისტები გვიგზავნიან თავიანთ ნაწარმოებებს. ორ დღეში შემოვიდა კიდევ ათი ეტიუდი პრაღიდან, ბუქარესტიდან, ბელგრადიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქიდან. იუგოსლაველი ეტიუდისტი რ. მარიჩი გვწერს, რომ იგი სიამოვნებით მონაწილეობს კონკურსში, თავისი ნაწარმოებზე ხანგრძლივად იმუშავა და ფიქრობს, რომ იგი ურიგო არ გამოსულა. კონკურსის ჟიურის ნებართვით ვაქვეყნებთ რ. მარიჩის ეტიუდს.

გუშინ დილით რედაქციამ მიიღო დეპეშა გემ „სილნიდან“, რომელიც შორეულ ნაოსნობაში იმყოფება. მეზღვაური ა. ფეკლისტოვი, რომელიც რიგის მცხოვრებია, გვიგზავნის თავის ეტიუდს და გვთხოვს მივიღოთ კონკურსზე. ამასთან იგი ბოდიშს იხდის, რომ წერილს, რომელშიც მოცემულია ეტიუდის ავტორისეული ამოხსნა, ალბათ კარგა ხანს დააგვიანდება.

ბევრი ეტიუდის ავტორი განმეორებით გვიგზავნის წერილს. ისინი გვთხოვენ შევიტანოთ მათ ეტიუდში შესწორება, რომელიც აუმჯობესებს ნაწარმოების ხარისხს. ასეთი წერილი მივიღეთ გამოჩენილი ჩეხი ეტიუდისტის ვ. პახმანისა და საბჭოთა კომპოზიტორ თ. ბონდარენკოსაგანაც.

წერილების ნაკადის ზრდა მატულობს კონკურსის ვადის (1 ოქტომბერი) . გასვლის მოახლოვებასთან ერთად. კონკურსის ჟიურის წევრებს სულ უფრო ბევრი სამუშაო გაუჩნდათ, ისინი სისტემატურად იკრიბებიან და ახარისხებენ შემოსულ მასალებს.

✦

**რ. მარიჩი** (იუგოსლავია)



თეთრები იწყებენ და იგებენ.

## კომისია კმაყოფილია

ბელგრადში, არმიის სტადიონზე, სადაც 1962 წლის სექტემბერში გაიმართება ევროპის პირველობა მძლეოსნობაში, მოეწყო ბალკანეთის ქვეყნების (იუგოსლავია, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, თურქეთი) მძლეოსანთა XX თამაშები. შეჯიბრება აღინიშნა ბალკანეთის თამაშების რამდენიმე რეკორდით, რომელთა ავტორები ძირითადად იუგოსლაველი, რუმინელი და ბულგარელი სპორტსმენები არიან.

ვაჟთა შეჯიბრება მოიგეს იუგოსლაველებმა. ქალთა შორის უძლიერესი იყო რუმინეთის გუნდი. განსაკუთრებით სუსტად გამოვიდნენ თურქეთის მძლეოსანი ქალები, რომლებმაც მხოლოდ 3 ქულა მიიღეს.

შეჯიბრებას ესწრებოდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური კომისია, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ახლახან რეკონსტრუირებულ მძლეოსნობის სექტორებს. კომისიის აზრით, ბაზა ხელს შეუწყობს ევროპის პირველობის მონაწილეებს მაღალი შედეგების ჩვენებაში.

## ისევ ბ. პოლულიახი

**ხარკოვი.** (ტელეფონით). აქ, ქალაქის საცურაო აუზში, გაიმართა სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება ცურვასა და წყალში ხტომაში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ გდრ-ს, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვათა საუკეთესო სპორტსმენები.

შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით, საბჭოთა გუნდის ინტერესებს იცავდნენ საქართველოს დინამოელებიც. ცურვაში — ე. შავდია, ლ. კრილოვა, წყალში ხტომაში — ბ. პოლულიახი და სხვანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. პოლულიახის გამარჯვება. მან ტრამპლინიდან ხტომაში მოაგროვა 154,02 ქულა და მოიპოვა პირველი ადგილი. ქალთა შორის გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ა. კოსოლაპოვამ — 135,20 ქულა.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინასაყრილობო ვალდებულებათა ერთ-ერთი მთავარი პუნქტია მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან სპორტული კლუბების ჩამოყალიბება. ეს გვერდი მოგვითხრობს ქუთაისის სამთო ტექნიკუმის კოლექტივზე, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს სპორტის ეს ახალი კერა.

XVII ყრილობის შესახვედრად





ქუთაისის სამთო ტექნიკუმის ახალგაზრდები დიდი გატაცებით ეუფლებიან ფიზკულტურასა და სპორტს. ტექნიკუმის მოსწავლეთა უმრავლესობა გაერთიანებულია სხვადასხვა სპორტულ სექციასა და წრეში.

სურათებზე: მარჯვნივ თქვენ ხედავთ მსროლელთა ერთ ჯგუფს ვარჯიშის დროს, მარცხნიდან—მ. კაპანაძე, კ. მიქაბერიძე, ჯ. მიქაბერიძე, კ. იამანიძე. მეცადინეობას ხელმძღვანელობს ქალაქის საუკეთესო მსროლელი ჯ. ლიპარტელიანი. მარცხნივ — სამთო ტექნიკუმის კალათბურთელები ვარჯიშის დროს, მწვრთნელი ა. კუხიანიძე გულდასმით ადევნებს თვალს სპორტსმენთა მეცადინეობას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# აქ შეიქმნება სპორტული კლუბი

გაშ ასე, ჩვენი მოთხრობა აწორედ იმ პერიოდიდან იწყება, როდესაც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან მდებარე ვაუთა მეექვსე საშუალო სკოლის ორსართულიან შენობას შეეხიზნა სამთო ტექნიკუმი. შეეხიზნა და მისი მოზიარე გახდა დიდი ხნით. სკოლას თვითონ არ ჰქონდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საფუძველი — სამეცადინო ბაზები და ტექნიკუმის მოსწავლეთათვის რა უნდა გაეყო. იყო ერთი სპორტული დარბაზი, ოთხიოდე ჯგუფი და ახალგაზრდების მონდომება.

ასეთ შიშველ ნიადაგზე დაიწყო სამთო ტექნიკუმის სპორტული ბიოგრაფია და ვინ იცის რა გზით წარიმართებოდა იგი, რომ 1945 წლის დეკემბერს მშობლიურ ქალაქს არ დაბრუნებოდა მიხეილ მახარაძე. მიხეილმა მილიონობით სხვა საბჭოთა ადამიანთან ერთად, სახელოვანი მეომრის გზა განვლო დიდ სამამულო ომში და მისი დამთავრების შემდეგ საბრძოლო ალჭურვილობა შეცვალა მშვიდობიანი შრომის მოწყობაზე ფიქრით.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვალმოხდილ მეომარს თავის მომავალი პროფესიის არჩევაზე დიდი ფიქრი არ დასჭირებია. სპორტი, ძერძოდ კი ფარიკაობა, იყო მისი ომამდელი სპეციალობა და სპორტი აირჩია მან ცხოვრების მომავალ თანამგზავრად. 1946 წელს მოვიდა მიხეილ ბესარიონის-ძე მახარაძე სამთო ტექნიკუმში. ამ დღიდან იგი, ენერგიისა და ძალების დაუზოგავად უდგას სათავეში სასწავლებლის სპორტულ ცხოვრებას.

ძნელი ბავშვობა ჰქონდა ტექნიკუმს ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მეზობლად. მაგრამ ამ ექვსი წლის მანძილზე იგი შესამჩნევად გაიზარდა, მოღონიერდა და ბევრისათვის შეუმჩნევლად ფიზკულტურული ცხოვრების შიგ შუაგულში მოექცა. ტექნიკუმი ამ დროისათვის აკადემიურადაც წამყვან სასწავლებლად გადაიქცა ქალაქში. კურსდამთავრებული ტექნიკოსები „კალიებივით“ მოედვნენ და ახალგაზრდული ენერგიით შეუდგნენ სოციალისტური ქვეყნის ძლიერების ჭედვას. აქ იყვნენ ტექნიკუმის სახელოვანი სპორტსმენებიც. აი ერთი მათგანი ი. დიდბარიძე — სასწავლებლის მოწინავე სპორტსმენი და ქალაქის ჩემპიონი 3000 მეტრზე რბენაში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი დონბასს გაემგზავრა და სულ მალე ერთ-ერთ შახტში უბნის უფროსობაც მიიღო. მან წარმატებით დაამთავრა დაუსწრებელი საინჟინრო განყოფილება და ამჟამად სამთო ინჟინრის კვალიფიკაციას ატარებს.

ვ. ილინი — წარჩინებული მოსწავლე, ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ფრენბურთის გუნდის მწვრთნელი. მან შარშან დაუსწრებლად ინსტიტუტიც დაამთავრა და დღეს ნოვოჩერკასკში მუშაობს. გვარების ჩამოთვლა კიდევ და კიდევ შეიძლება...

ექვსი წელი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ სამთო ტექნიკუმს მოეპოვებინა მტკიცე ავტორიტეტი. დღის წესრიგში დადგა მისი გაზრდა-გაფართოების საკითხი და აი მუხნარის აგარაკის ტერიტორიაზე წამოჭიმა ვეებერთელა სამშენებლო ხარაჩოები, რომელიც სულ მალე ქუთაისის სამთო ტექნიკუმად გადაიქცა. დაიწყო სასწავლებლის და მისი კოლექტივის ახალი ცხოვრება.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ტექნიკუმის ცხოვრებაში მხოლოდ ტკბილ მოგონებად დარჩა. 1952 წლიდან სასწავლებელმა მიიღო თანამედროვე ტექნიკუმის სავსებით ჩამოყალიბებული სახე. ვეებერთელა სასწავლო კორპუსი, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, კომფორტაბელური კლუბი, სამოსწავლო სახელოსნო, სპორტული დარბაზი, ძალოსნობის და კრივის ოთახები, 50-მეტრიანი ტირი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სახტომი სექტორები, მძლეოსნური ბილიკი და ბევრი კიდევ სხვა. აი რით შეიცვალა ვაუთა ყოფილი VI საშუალო სკოლის საზიარო ნაწილი. ქუთაისის სამთო ტექნიკუმი დღეს ქალაქის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი არტერიაა.

რაშია მაინც მისი ძალა, შნო და უნარი? პირველყოვლისა იმაში, რომ აქ ყველაფერი საკუთარი ძალებით, საზოგადოებრივი აქტივის მონაწილეობით და მხარდაჭერით კეთდება. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: 10 სპორტული სექცია და მასში გაერთიანებული 325 სპორტსმენი, რომელთა შორის ყველა თანრიგოსანია და ყველაფერს ამას ხელმძღვანელობს მიხეილ მახარაძე, ფართო საზოგადოებრივი აქტივის მხარდაჭერით.

მაგრამ ტექნიკუმის სპორტული ცხოვრება მხოლოდ ამ სექციებით როდი ამოიწურება. ყველა აკადემიურ ჯგუფში შექმნილია სპორტული წრეები (კალათბურთის, ფრენბურთის, ტყვიით სროლის, ფეხბურთის), რომლებსაც სექციების წამყვანი სპორტსმენები ხელმძღვანელობენ. სწორედ მათივე კონტროლის ქვეშ ხდება საზოგადოებრივი კადრების მსაჯების და თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადება.

აი სწორედ მათზე დგას ტექნიკუმის მთელი ფიზკულტურული საქმიანობა. ჯემალ ლიპარტელიანი ტექნიკუმის ფრენბურთელთა გუნდის თავია. მაგრამ მეორე კურსის სტუდენტი ამავე დროს აკადემიურ ჯგუფებში კალათბურთის წრეს ამეცადინებს. მისი თანამოგვარე ჯუმბერ ლიპარტელიანი — ქალაქის ნაკრები გუნდის წევრი ტყვიით სროლაში, სროლის წრეს ხელმძღვანელობს და ა. შ.

ტექნიკუმელთა ფიზიკური აღზრდის ამ იერარქიას აქვს კიდევ ერთი, უმაღლესი საფეხური. ეს არის კონტროლის, უფრო სწორად საერთო ხელმძღვანელობის სისტემა, რომელსაც ახორციელებენ ტექნიკუმის მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭოს და პარტბიუროს გადაწყვეტილებით ისინი მიმაგრებულნი არიან ამა თუ იმ სექციასთან.

აი ვთქვათ ძალოსნობის სექცია, რომელშიც სხვებთან ერთად მეცადინეობს ქალაქის ნაკრები გუნდის წევრი ვ. ტალახაძე. იგი ამავე დროს მწვრთნელიც არის. სექციაზე მიმაგრებულია ტექნიკუმის პედაგოგი, სამთო ინჟინერი ა. ვარაზიშვილი. ის, მართალია, ძალოსანი არაა, მაგრამ უყვარს სპორტის ეს სახეობა და კარგად უწევს საერთო ხელმძღვანელობას. იგი ეხმარება საზოგადოებრივ მწვრთნელს ბევრი საკითხის მოგვარებაში და ამით მას ზრუნვის ერთ დიდ სფეროს აცილებს თავიდან.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი ტექნიკუმის სპორტსმენთა წარმატებები.

ტექნიკუმი ქუთაისის სპორტული ცხოვრების აქტიური წევრია. იგი, როგორც წესი, მონაწილეობს ყველა სახის საქალაქო შეჯიბრებებში, მნიშვნელოვან რესპუბლიკურ ღონისძიებებში და არც თუ ურიგოდ. აი ამის მაგალითიც. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქალაქო სპარტაკიადაზე (ტექნიკუმი „სპარტაკის“ წევრია) 12 სახეობიდან ტექნიკუმმა ცხრაში პირველი ადგილი დაიკავა. საიუბილეო სპარტაკიადის შემდგომ ეტაპზე იგი ამ ცხრა სახეობაში შეხვდა „განთიადის“ და „ბურევესტნიკის“ სპორტულ კოლექტივებს და ოთხში (ძალოსნობაში, ტყვიით სროლაში, ფეხბურთსა და ცურვაში) პირველი ადგილი დაისაკუთრა. და ბოლოს, რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ამ ოთხ სახეობაში მიიღო მონაწილეობა და ორში (ძალოსნობასა და ტყვიით სროლაში) მეორე ადგილები დაისაკუთრა. არის თუ არა ყველაფერი ეს ტექნიკუმის სპორტული კოლექტივის წარმატებათა მაჩვენებელი? რა თქმა უნდა, არის.

და აი სწორედ ამიტომ, ქუთაისის სამთო ტექნიკუმს მიეცა უფლება იბრძოლოს სპორტული კლუბის შექმნისათვის. რას ნიშნავს ეს უფლება, რას გულისხმობს იგი? სპორტული კლუბის დებულებაში ნათქვამია, რომ იგი იქმნება იმ ფიზკულტურული კოლექტივის ბაზაზე, რომელიც აჩვენებს მაღალ შედეგს ფიზკულტურის მასობრივი ორგანიზაციის და სპორტული მუშაობის საქმეში.

ამ საპატიო წოდების მისაღწევად ტექნიკუმს კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება მოუწევს, რადგან სპორტული კლუბის დებულება მაღალ მოთხოვნებს აყენებს. შესძლებს თუ არა სახელოვანი კოლექტივი ამ სიძნელეთა გადალახვას? ჩვენის აზრით შეძლებს, რა თქმა უნდა, მას მხარს დაუჭერენ ყოველმხრივ.

სწორედ კლუბის შესახებ გვესაუბრა მთელი გულისყურით მიხეილ მახარაძე — ტექნიკუმის ფიზკულტურული ცხოვრების ხელმძღვანელი.

— დირექცია და პარტორგანიზაცია ყოველმხრივ ხელს გვიწყობს მუშაობაში. მაგრამ სპორტული კლუბის სახელი ეს ისეთი პატივია, რომელიც ნაწილობრივ ჩვენს კომპეტენციას სცილდება. ის, რაც ჩვენგან იქნება დამოკიდებული — ჩვენს სინდისზე იყოს, მაგრამ დახმარება უდაოდ დაგვჭირდება. სპორტული კლუბის სახელისათვის ჩვენთან ერთად იბრძვიან თბილისის ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, დიდი ჯიხაიშის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივები და სხვ. პაექრობა არ არის იოლი. ეს ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული. სწორედ ამიტომაა, რომ მოველით საქმიან დახმარებას, პირველ რიგში „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ნ. გუგუშვილი

# სპორტულ გამარჯვებათა მატიანე

ამ ორი წლის წინათ [...]ზეთ „ლელოს“ ფურცლებზე დაისვა საკითხი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის შექმნის შესახებ. წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მკითხველთა მიერ რედაქციაში შემოსულმა უამრავმა შეხვედრებმა და წინადადებებმა ცხადყო საზოგადოებრივი აზრის მოწიფება საკითხის ირგვლივ. ქართული სპორტის ალბომლობამ თვითვე დააყენა დღის წესრიგში მისი თვალსაჩინო მემატიანის — მუზეუმის შექმნის აუცილებლობა.

წერილის გამო ამტყდარი ხმაურის შემდეგ რაც თუ ისე პატარა ხანი გავიდა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბის დაწესებულების შექმნით დაიწყო.

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა ამავე ინსტიტუტის მუზეუმი, რომელშიც დიდი და თვალსაჩინო ადგილი უკავია ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებას. მუზეუმის მნიშვნელობა სცილდება შიდასაინსტიტუტო მასშტაბს: ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთი სასწავლო დაწესებულების სპორტული ცხოვრების ამსახველი სურათები და ექსპონატები მნახველს ნათელ წარმოდგენას უქმნიან ქართული სპორტის განვითარების ეტაპებსა და მის როლზე საბჭოთა სპორტის აყვავებაში.

ძნელია გულგრილად გაჩერდე ინსტიტუტის სპორტის ვეტერანთა და მათი აღზრდილების სადემონსტრაციო დაფასთან, სადაც ქართული სპორტის კორიფეების გ. ნიკოლაძისა და გ. ეგნატაშვილის გვერდით სახელმოხვეჭილ ოსტატთა მთელი პლეადაა, რომლებმაც საკუთარი მხრებით დღემდე მოიტანეს ქართული სპორტის შნო და ლაზათი.

აქ ნახავთ საქართველოს პირველ მძლეოსან ქალს — რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის ჩემპიონ ნ. ზალდასტანიშვილს, პირველ ოსტატებს ტანვარჯიშში — გ. ბაბილოძეს, ლ. ყანჩაველს, ნ. თაყაიშვილს, მოკრივეებს — ლ. ლუდუშაურს, ბ. კვინიხიძეს, კალათბურთელებს — რ. მდივანს, შ. ყიასაშვილს, თ. ჩუბინიძეს, ფრენბურთელებს — ლ. მაიერს, ზ. შეველიოვასა და სხვებს, რომელთა სახელოვან ტრადიციებზეც აღიზარდნენ ჩვენი დღევანდელი სპორტსმენები.

აი ჩვენი ქვეყნის ცენტრალური გაზეთის სიყვითლეშეპარული ამონაჭერიც. ვხედავთ საყვარელი ფეხბურთელების: პაიჭაძის, მინაევის, ყალიჩავას, სომოვის, მდივნისა და სხვათა სახეებს, რომელთა ღირსებაზეც თვითონ ლაპარაკობს ფოტოს წარწერა „ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის 11 ფეხბურთელი დაუმარცხებლად უბრუნდება თბილისს, უბრუნდება მოსკოვსა და ლენინგრადზე გამარჯვებული. ერთსულოვნობა და მეგობრული თამაში განასხვავებდა სპარტაკიადაზე გამარჯვებულ თბილისელთა გუნდს სხვა კოლექტივებისაგან“ (ლაპარაკია სახალხო კომისარიატების 1935 წლის სპარტაკიადაზე).

გამოფენაზე 1934 წლიდან დღემდე წარმოდგენილ რამდენიმე ალბომს (რომელიც წლების მიხედვითაა შედგენილი) აერთიანებს საერთო სათაური „სპორტულ გამარჯვებათა მატიანე“. საინტერესოა ალბომებში წარმოდგენილი დიპლომების ხარისხის თანდათანობითი განვითარება: 1937 წელს პროფკავშირების პირველობაზე გამარჯვებისათვის ჩოგბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ გ. გულიაშვილი, ვ. სერებრიანიკოვი, თ. ჩიმერინა და სხვები, დაჯილდოვებულია კუსტარული სიგელით, რომელზედაც აკვარელით შესრულებული ჩოგბურთელია გამოხატული.

მნახველთა მოწონებას იმსახურებს ორიგინალურად მოწყობილი რუკა — თბილისიდან მხოლოდ ყველა კუთხისკენ მიმართულია ნაირფეროვანი ძაფები, რომლებიც აღნიშნავენ ინსტიტუტის სპორტსმენთა მონაწილეობას ჩვენი მატერიკის სხვადასხვა კუთხეში გამართულ შეჯიბრებებზე.

უამრავ ვიმპელსა და თასებს შორის თავისი სიდიდითა და მნიშვნელობითაც გამოირჩევა გარდამავალი თასი სტუდენტთა თამაშებზე მოპოვებული გამარჯვებისათვის — აქაური სპორტსმენები ხომ სტუდენტთა ორივე თამაშების (1958-60 წ. წ.) ჩემპიონები არიან.

გამოფენაზე ცალკე კუთხე აქვს გამოყოფილი ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელთა მეთოდურ და სამეცნიერო ნაშრომებს.

ამ [illegible] ინსტიტუტის [illegible] კათედრის გამგეს მ. ცხვედაძეს, რომელმაც დღის სინათლეზე გამოიტანა ქართველ სპორტსმენთა დიდების მაუწყებელი დოკუმენტები.

თუ ერთი დაწესებულების მიერ შეგროვილი მასალები საფუძვლად დაედო ჩვენი სპორტის ისტორიის მცირე მონაკვეთის თვალსაჩინო დემონსტრირებას, განა დრო არ არის გაიხსნას ქართული სპორტის მუზეუმი, რომლის კეთილმოწყობაში და ექსპონატებით მომარაგებაში სპორტის მრავალი ენთუზიასტი და ათასობით გულშემატკივარი მიიღებს მონაწილეობას?

**გ. სამსონაძე**

# საფეხბურთო მოედნებზე

**თბილისი. 20 სექტემბერი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი.**

**„დინამო“ (თბილისი)-ცსკა (მოსკოვი) — 3:0 (2:0).**

**ცსკა:** ივანოვი; დუბინსკი, შესტერიევი, ბაგრიჩი; დოროდნიხი, ჟურავლიოვი; აპუხტინი (კოვალიოვი), ოვივიანი, მამიკინი, ამბარცუმიანი, დორონინი.

**„დინამო“:** კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; ხელაძე, გ. სიჭინავა; დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მატჩს სჯიდა ლენინგრადელ მსაჯთა ბრიგადა ა. ალოვის ხელმძღვანელობით.

[...]მირად ხდება: ძლიერი გუნდები [...]ჩს იწყებენ ურთიერთდაზვერ[...], მოწინააღმდეგის დაცვაში [...]სტი ადგილების ძიებით და სა[...]ველის მიღწევისთანავე იწყებენ [...]ამწყვეტ იერიშებს. ასე იყო ამ [...]ჩშიც, მხოლოდ იმ განსხვავე[...], რომ თბილისელებმა უფრო [...]ე დაამთავრეს დაზვერვა, მიაგ[...] შედარებით სუსტ რგოლს მოს[...]ველთა დაცვის მარჯვენა ფლანგ[...] და თამაშში ჩართეს მესხი.

[...]ძიმე ამოცანა ჰქონდა შესასრუ[...]ბელი არმიელთა მარჯვენა მცველს — დუბინსკის. მან ვერაფერი გააწყო მესხის თვალშეუვლები ფინტების წინააღმდეგ. ერთს აუღებდა ალღოს, ახლა მეორეს გამოიყენებდა თბილისელთა მარცხენა გარემარბი და არა მარტო თვითონ უქადდა საფრთხეს მოწინააღმდეგის კარს, პარტნიორებსაც ამარაგებდა „მზა“ ბურთებით.

თბილისელები დაეპატრონენ თუ ხრა მოედნის ცენტრს, თანდათან შეავიწროვეს არმიელები და.. .გოლი მომწიფდა. ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა. მესხმა ერთხანს გააჩერა ბურთი — ეძებდა დუბინსკსა და დოროდნიხთან (რომელიც ამ დროს დუბინსკის დასახმარებლად იყო მოსული) გასასვლელს, ამით არმიელებს თითქოს ძალთა მობილიზების საშუალებაც მიეცა, მაგრამ მოულოდნელად გაუსხლტა ორივეს იგი და დაბალი ძლიერი დარტყმით ბურთი გაგზავნა კარის გასწვრივ. ნახტომით სცადა ივანოვმა ბურთის აღება, ვერ მოასწრო... დათუნაშვილმა გახსნა ანგარიში 1:0.

მიღებულმა ბურთმა კიდევ უფრო დააბნია მოსკოველები, მიაჯაჭვა ისინი საკუთარ კარს და თითქმის იმავე წუთში იამანიძის რეიდი კინაღამ გოლით დამთავრდა. მალე ისევ იამანიძემ განმეორებით შეასრულა იგივე „ნომერი“, მაგრამ ამჯერად მას უხეშად მოექცნენ. კალოევმა მცველთა ყურადღება მარჯვენა მხარეს გადაიტანა, საჯარიმოდან ბურთი მოულოდნელად გაუგორა იამანიძეს და მან უძლიერესი დარტყმით დაამრგვალა ანგარიში — 2:0. ეს მოხდა მატჩის მე-16 წუთზე.

პირველ ტაიმში სტუმრებს თითქმის არ შეუქმნიათ რეალური საფრთხე მასპინძელთა კარისათვის, რადგან შეთანხმებით თამაშობდა დაცვის რგოლი, მხოლოდ ერთხელ დაკარგეს არმიელებმა გოლის გატანის შესაძლებლობა. ეს უნდა გაეკეთებინა ოვივიანს, მაგრამ ვერ შეძლო — კოტრიკაძე დროულად გამოვიდა კარიდან და არმიელთა ფორვარდმა ბურთი ააცილა კარს.

შესვენების შემდეგ არმიელებმა აპუხტინი შეცვალეს კოვალიოვით, რომელმაც მოედანზე დაიკავა ოვივიანის ადგილი, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა გადაინაცვლა მარჯვენა ფლანგზე. ამგვარმა ცვლილებამ ერთხანს მისცა კიდევაც უპირატესობა მოსკოველებს, მაგრამ მცირე ხნით.

ბარქაიამ, რომელმაც განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მატჩის მეორე ნახევარი, საჯარიმო მოედანზე რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ბურთი კარგ ადგილზე მყოფ იამანიძეს ჩააწოდა, რომელმაც არ დააყოვნა და ნელი, მაგრამ ზუსტი დარტყმით მესამედ აიძულა სტუმრები შეესრულებინათ ცენტრიდან თამაშის განახლების არასასიამოვნო პროცედურა.

დინამოელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს (3:0) და საგრძნობლად გაიუმჯობესეს არა მარტო სატურნირო მდგომარეობა, არამედ ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან იმ სპეციალური პრიზისა, რომელიც დაწესებულია დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებისათვის.

**ო. გელაშვილი**

* * *

**სურათზე:** კომენტარები ზედმეტია, იამანიძემ მესამედ შეარხია მოსკოველთა კარის ბადე.

## გ უ შ ი ნ, სპორტის სასახლეში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩი, რომელიც გვიან ღამით დამთავრდა, მოიგეს საქართველოს მოჭიდავეებმა — 7:1.

შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 17 | 2 | 5 | 58—27 | 36 |
| „დინამო“ (კიევი) | 24 | 15 | 6 | 3 | 46—20 | 36 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 24 | 14 | 5 | 5 | 49—26 | 33 |
| ც ს კ ა | 24 | 15 | 3 | 6 | 57—35 | 33 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 12 | 6 | 6 | 44—25 | 30 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 22 | 10 | 8 | 4 | 40—27 | 28 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 23 | 9 | 9 | 5 | 32—28 | 27 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 24 | 10 | 7 | 7 | 23—21 | 27 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 23 | 9 | 6 | 8 | 33—45 | 24 |
| ს კ ა (როსტოვი) | 24 | 9 | 5 | 10 | 42—28 | 23 |

**მოსკოვი. 20 სექტემბერი.** დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ტორპედომ“, რომელმაც წინა მატჩში დამარცხება განიცადა კიევის „დინამოსთან“ და ლიდერობა დაჰკარგა, ამჯერად ძლიერად ჩაატარა მატჩი ტაშკენტის „პახტაკორთან“ და სძლია მას ანგარიშით 6:0.

* * *

**ხარკოვი. 20 სექტემბერი.** აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდი“ და გათამაშების ლიდერი — კიევის „დინამო“. ხარკოველებმა კარგად ითამაშეს ორივე ტაიმის განმავლობაში და მიაღწიეს ფრეს — 1:1.

* * *

**როსტოვი. 20 სექტემბერი.** ადგილობრივმა არმიელებმა, რომლებიც ცუდად გამოდიან ფინალურ ჯგუფში ამ დღეს მიიღეს მოსკოვის „სპარტაკი“. მოსკოველთა მიერ გატანილ ორ გოლს მასპინძლებმა ერთით უპასუხეს და დამარცხდნენ — 1:2.

# ე. ლომთაძე—10,3

კიდევ ორი კვირა და თბილისს ეწვევიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნები, რომლებიც აქ, „ბურევესტნიკის“ მძლეოსნურ სექტორებზე ერთმანეთს შეეჯიბრებიან უძლიერესის სახელისათვის. ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად დაიწყო სტადიონის სარბენი ბილიკების, სატყორცნი და სახტომი სექტორების რეკონსტრუქცია, რომელიც სულ მალე დამთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები ჯერ კიდევ გრძელდება, საქართველოს მძლეოსნებმა უკვე მოახდინეს მათი შრომის პროდუქციის შემოწმება — გუშინ აქ დაიწყო რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი.

პირველ დღეს, როგორც ბილიკმა, ისე მონაწილეებმა იმედები გაამართლეს. ვაჟთა შორის 100 მეტრზე უკვე წინასწარ გარბენში ე. ლომთაძემ (მწვრთნელი ვ. სუხოტინი) აჩვენა 10,3 წამი და გაიმეორა საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდები. წინასწარ გარბენში ოსტატობამდე 0,1 წამი დააკლდა მის თანაგუნდელს ა. ბედუკაძეს (თბილისის I გუნდი). მისი შედეგია 10,5 წ. ფინალში მონაწილე ყველა სპორტსმენმა გააუარესა წინასწარ გარბენში ნაჩვენები შედეგები. რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ე. ლომთაძემ—10,6, მეორეზეა ა. ბედუკაძე—10,8, მესამეზე — ა. ხობაკინი—11,0 (წინასწარში — 10,7).

ქალთა სპრინტში (რბენა 100 მ) ფინალში ერთნაირი დრო — 12,3 წ. ჰქონდათ ა. ოვივიანსა (თბილისი I) და მ. პაპიაშვილს (ქუთაისი), მაგრამ მკერდით წინ იყო თბილისელი მძლეოსანი. ქალებში სიგრძეზე ხტომა მოიგო რ. იანშჩინამ (თბ. I) — 5.58 მ (წინასწარში — 5.76 მ). ვაჟებში 400 მ რბენაში გაიმარჯვა ბ. კიუტიმ (აფხაზეთი) — 51,3 წ. 800 მეტრზე—თბილისელმა ე. გონჩაროვმა — 1.54,6 წ.

## ლიდერი — ვეტერანი!

სად არის დიულა გროშიჩი, შეძლებს თუ არა იგი უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში კვლავ გამოსვლას? გვეკითხება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი რ. ცეცხლაძე.

მეკარე დიულა გროშიჩი ერთადერთია „დიდი გუნდის“ წევრებიდან, რომელიც უნგრეთის ნაკრებს შემორჩა. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ უწინასწარმეტყველეს მას კარიერის დასასრული, ზოგჯერ შესაფერი მემკვიდრეც მოუძებნეს, მაგრამ გროშიჩმა მაინც მტკიცედ შეინარჩუნა თავისი ადგილი ეროვნულ ნაკრებში. „ჩილი იქნება ჩემი სპორტული მოღვაწეობის დასასრული“,—განაცხადა 35 წლის მეკარემ, რომელიც 74-ჯერ იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას. მხოლოდ ნაკრების ყოფილ კაპიტანს იოჟეფ ბოჟიკს აქვს გროშიჩზე მეტი მატჩი ჩატარებული უნგრეთის გუნდის შემადგენლობაში (92 მატჩი), მაგრამ მისი სპორტული კარიერა ხომ უკვე დასრულდა.

გროშიჩი 1945 წლიდან იცავს უნგრეთის ნაკრების კარს. მაშინ იგი მხოლოდ 19 წლისა იყო. ასეთ დიდ წარმატებას გროშიჩმა ყოველდღიური ვარჯიშით მიაღწია, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა ცალმხრივი სპორტსმენი. გროშიჩი ჩინებული ტანმოვარჯიშეა. უყვარს მაგიდის ჩოგბურთი. 1952 წლამდე იგი ბუდაპეშტის „ჰონვედში“ თამაშობდა, ხოლო შემდეგ პროვინციულ ქალაქ ტატაბანიის გუნდში გადავიდა და დღესაც იქ თამაშობს.

უნგრეთის ფეხბურთის განდიდება სხვებთან ერთად გროშიჩის სახელთანაცაა დაკავშირებული. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში უნგრელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, ფინალში სძლიეს იუგოსლავიის ძლიერ გუნდს (2:0). 1952-54 წლების მანძილზე უნგრელებს საერთოდ არ ჰყავდათ მეტოქე მსოფლიოში. ინგლისის ნაქები ნაკრები ორჯერ სასტიკად იქნა დამარცხებული ლონდონსა (3:6) და ბუდაპეშტში (1:7). სხვა ნაკრებებმაც ინგლისელების ბედი გაიზიარეს. მსოფლიოს V ჩემპიონატში უნგრელებმა ზედიზედ გამოიყვანეს მწყობრიდან ბრაზილიელები და ფინალში შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შედარებით სუსტ ნაკრებს და... არცერთ უნგრელს არ სურს ამ მეტად უსიამოვნო ამბის გახსენება. ეს იყო „დიდი გუნდის“ დასასრულის დასაწყისი, უფერული თამაშების სერიაში, მტკივნეული პროცესი, რომლის დროსაც ვეტერანები იმედითა და ენერგიით ალსავსე ჭაბუკებმა შეცვალეს. და აი ამ ახალგაზრდებს ამხნევებდა და თავისი თავგანწირული თამაშით მაგალითს აძლევდა გამოჩენილი მეკარე, ერთ დროს სწორუპოვარი გუნდის განდიდებისა და დაცემის მომსწრე დიულა გროშიჩი.

გროშიჩი ენთუზიაზმით შეხვდა ახლა VII მსოფლიო ჩემპიონატს. თუმცა უნგრეთის ნაკრებმა უკვე მოიპოვა ჩილის საგზური, მაგრამ მწვრთნელი ლაიოშ ბაროტი და გუნდის კაპიტანი დიულა გროშიჩი მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. დღეისათვის მთელი კოლექტივი თავდადებით მუშაობს მდგომარეობის გამოსასწორებლად, რათა მსოფლიო ჩემპიონატისათვის უნგრელებმა „დიდი გუნდის“ დონეზე ითამაშონ.

16 წელი ეროვნულ ნაკრებში — ეს ნამდვილი სპორტული გმირობა და ფეხბურთის ისტორიაში უმაგალითო მოვლენაა.

ბათუმის პიონერთა პარკის ტბა ნიჩბოსანთა საყვარელი ადგილია. აქ ვარჯიშობენ არა მარტო ბაიდარებითა და კანოებით, არამედ ჩვეულებრივი ნავებით რბოლაშიც.

სურათზე: ბათუმის პიონერთა პარკის ტბა.

ფოტო რ. ბოლქვაძისა.



## კოპასა და ფონტენის გარეშე

საფრანგეთის მორიგი ჩემპიონატი დაიწყო ძველი მეტოქეების „მონაკოსა“ და „რეიმსის“ ორთაბრძოლით. „მონაკომ“, რომელმაც უკვე „მოასწრო“ დაეკარგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასში მონაწილეობის უფლება, მთელი ყურადღება დაუთმო ეროვნულ ჩემპიონატს. შარშანდელმა ჩემპიონმა, რომელსაც განთქმული სპეციალისტი ლუსიენ ლედიუკი წვრთნის, პარიზში მოუგო ადგილობრივ გუნდს „სტად ფრანსეს“ (2:0) და 5 თამაშიდან 9 ქულით ლიდერობს შეჯიბრებას.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პოპულარული „რეიმსი“ (მწვრთნელი ალბერ ბატე), რომელიც თამაშობს თავისი თავდასხმის ლიდერების — კოპასა და ფონტენის გარეშე. ორივე ფორვარდი ჯერ კიდევ მკურნალობს. სამაგიეროდ „რეიმსმა“ შეინარჩუნა თავისი ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი პიანტონი, რომელსაც დიდხანს ეპატიჟებოდა „რივერ პლატა“ (არგენტინა). ამჟამად „რეიმსის“ თავდასხმის ხუთეული ასე გამოიყურება: აკესბი-მიულერი-გოლვაცკი-პიანტონი-ვენსანი. თავდასხმაში ახალი ფიგურაა საუცხოო მაროკოელი ფორვარდი აკესბი, რომელიც გამოირჩევა სისწრაფითა და შედეგიანობით. კარგ ფორმაშია თავდასხმის „დირიჟორი“ პიანტონიც. „ნიმთან“ წაგების მიუხედავად (0:2), „რეიმსის“ თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი „მონაკოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. მიმომხილველები თვლიან, რომ ბრძოლა ჩემპიონობისათვის ამ კლუბებსა და შარშან მეორე ადგილზე გამოსულ „რესინგს“ შორის გაიმართება. პარიზის გუნდში, რომელსაც ისევ ცნობილი მწვრთნელი პოლ პიბარო ხელმძღვანელობს, გრიეს (№ 7), უჟლაკისა (№ 8) და ეტის (№ 10) მხარდამხარ თამაშობს იუგოსლაველი მილუტინოვიჩი (№ 9).

მრავალი საზრუნავი აქვს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ბატეს. გარდა იმისა, რომ ფრანგებს მოელით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი სოფიაში ბულგარელებთან, ნაკრები გამართავს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას, მათ შორის პარიზში ესპანელებთან. მიმდინარე წლის დასაწყისში ფრანგები დამარცხდნენ მადრიდში (0:2), ამჟამად საფრანგეთის ნაკრები საგრძნობლად გადახალისდა, მასში შეყვანილი არიან ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები. ისე, რომ ბატე იმედოვნებს აიღოს რევანში ესპანელებთან შეხვედრაში.

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ემზადება დიდი ბრძოლისათვის.

რედაქტორი ი. უგულავა.

**კალათბურთი**

**23 სექტემბერი**

საერთაშორისო შეხვედრა

ქ ა ლ ე ბ ი

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

ვ ა ჟ ე ბ ი

„დინამო“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 20 საათზე.

**24 სექტემბერი**

საერთაშორისო შეხვედრა

ქ ა ლ ე ბ ი

ქ. თბილისის (ნაკრები)-რუმინეთი (ნაკრები)

ვ ა ჟ ე ბ ი

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

**25 სექტემბერი**

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი)-სკიფი (კიევი)

დასაწყისი 20 საათზე.

## ალენ ჟილეტი ეძებს არსებობის წყაროს

ამჟამად საფრანგეთის სპორტული გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით წერილებს ერთი და იგივე სათაურით „საფრანგეთის ფიგურულმა სრიალმა განიცადა მძიმე დანაკლისი“. რა მოხდა? შეიძლება მოულოდნელად გარდაიცვალა საფრანგეთის ერთ-ერთი სახელგანთქმული სპორტსმენი — ფიგურული სრიალის ოსტატი? არა!

საქმე იმაშია, რომ ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა და 1960 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ფრანგმა ალენ ჟილეტიმ განაცხადა, რომ იგი თავს ანებებს სამოყვარულო სპორტს. მან გადაწყვიტა ფულის საშოვნელად გაემგზავროს ამერიკაში, რადგან ხელი მოაწერა კონტრაქტს ნიუ-იორკის ყინულის რევიუ „ჰოლიდეი ონ აისთან“ და ამრიგად იგი გახდა პროფესიონალი. ჟილეტიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „ამ ნაბიჯს არ გადავდგამდა, მაგრამ ხომ საჭიროა მომავალზე ფიქრი, სანამ შენ ახალგაზრდა ხარ. ბოლოს და ბოლოს აპლოდისმენტების ხმა სასიამოვნოა, მაგრამ დოლარები უფრო საიმედოა.“

რასაკვირველია, ჟილეტი პირველი და უკანასკნელი ფიგურული სრიალის ოსტატი როდია, რომელიც სამოყვარულო სპორტიდან პროფესიონალებში გადავიდა. ყოველწლიურად ათობით სპორტსმენი მიდის რევიუში.

სკვო ველის ოლიმპიურ ჩემპიონს კეროლ ჰეისს, ბევრი უტრიალეს მენაჯერებმა. იგი კარგა ხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ ბოლოს იგი „გასტეხა“ დიდმა თანხამ, რომელიც მას შეპირდნენ ჰოლივუდში. ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ზამთრის სპორტის გამოჩენილი მოღვაწის, ავსტრიელ მარკ ჰოდლერის სიტყვები: „დასავლეთის ფიგურისტების ა თ ვ ი ს ოლიმპიური ჩემპიონობის ტიტული და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის მედლები რევიუში, ვარიეტესა და კინოში გადასვლის თავისებური საშვები გახდა“.



**24-27**

სექტემბერი

**წყალში ხტომა**

რესპუბლიკის სპორტკავშირის ჯილდოზე

დასაწყისი 24 სექტემბერს — 13 საათზე. დანარჩენ დღეებში 16 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05663